საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე

თბილისი 0118, რუსთაველის გამზირი N8, საქართველოს პარლამენტის სასახლე

ბრძანება

1/31/23 **06-02-2023**

საქართველოს პარლამენტში მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლების
აკრედიტაციის წესის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ და „ფ“ ქვეპუნქტების შესაბამისად:

1. დამტკიცდეს საქართველოს პარლამენტში მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციის წესი (თან ერთვის).
2. ბრძანება საჯაროდ გამოცხადდეს 2023 წლის 7 თებერვალს და ძალაში შევიდეს საჯაროდ გამოცხადების დღიდან.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საჯაროდ გამოცხადების დღიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

პარლამენტის თავმჯდომარე
შალვა პაპუაშვილი

2025წლის 12 დეკემბრის მდგომარეობით

საქართველოს პარლამენტში მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

საქართველოს პარლამენტში მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციის წესის მიზანია საქართველოს პარლამენტის საქმიანობის გაშუქებისა და საზოგადოების ოპერატიულად ინფორმირების უზრუნველყოფისთვის ხელის შეწყობა, ამ საშუალებების საქმიანობისთვის სათანადო პირობების შექმნა და მათი მხარდაჭერა, აღნიშნულ საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციის წესებისა და პირობების განსაზღვრა და მათ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა ურთიერთობების მოწესრიგება.

მუხლი 2. აკრედიტაციის სახეები

1. საქართველოს პარლამენტში გაიცემა ორი სახის აკრედიტაცია – საპარლამენტო ჟურნალისტის აკრედიტაცია და სპეციალური აკრედიტაცია.

2. საპარლამენტო ჟურნალისტის აკრედიტაცია გაიცემა საქართველოში რეგისტრირებული მასობრივი ინფორმაციის საშუალების (შემდგომ – მედიასაშუალება) ჟურნალისტზე 1 წლის ვადით, ყოველი კალენდარული წლისთვის და მოქმედებს კალენდარული წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

3. სპეციალური აკრედიტაცია გაიცემა იმ ჟურნალისტზე, რომელსაც არ აქვს საპარლამენტო ჟურნალისტის აკრედიტაცია.

4. აკრედიტაციის მიზნებისთვის ჟურნალისტად მიიჩნევა რეპორტიორი, ოპერატორი, ფოტოგრაფი, ტექნიკური მომსახურების გამწევი პერსონალის წევრი, გადამღებ ჯგუფად – ერთი რეპორტიორისა და ერთი ოპერატორისგან, ხოლო საჭიროების შემთხვევაში – აგრეთვე ტექნიკური მომსახურების გამწევი პერსონალის სათანადო რაოდენობის წევრისგან შემდგარი ჯგუფი, რომელიც უშუალოდ საქართველოს პარლამენტის სასახლეში ახორციელებს ჟურნალისტურ საქმიანობას, ხოლო მედიასაშუალებად – საქართველოში იურიდიულ პირად რეგისტრირებული მასობრივი კომუნიკაციის ბეჭდვითი ან ელექტრონული საშუალება.

5. იმ მედიასაშუალების ჟურნალისტზე, რომლის საქმიანობაც არ უკავშირდება საქართველოს პარლამენტის საქმიანობის გაშუქებას, საპარლამენტო ჟურნალისტის აკრედიტაცია არ გაიცემა.

6. საქართველოს პარლამენტის სასახლეში ჟურნალისტური საქმიანობა შეიძლება განახორციელოს მხოლოდ ამ წესის საფუძველზე აკრედიტებულმა ჟურნალისტმა.

7. ეს წესი არ გამოიყენება საქართველოს პარლამენტის წევრის მიერ საავტორო გადაცემის ჩაწერის, ბლოგის წარმოების ან კომუნიკაციის სხვა აუდიოვიზუალური ფორმით განხორციელების დროს.

მუხლი 3. საპარლამენტო ჟურნალისტის აკრედიტაციის მიღების თაობაზე განაცხადების მიღება (12.11.2025 N1/255/25)

1. ამ წესის №1 დანართით გათვალისწინებული ფორმის დაცვით საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სახელზე შევსებული საპარლამენტო ჟურნალისტის აკრედიტაციის მიღების თაობაზე განაცხადები მიიღება სააკრედიტაციო წლის წინა წლის 1 დეკემბრიდან 15 დეკემბრის ჩათვლით. თუ განაცხადების მიღების ბოლო დღე ემთხვევა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ უქმე დღეს, განაცხადების მიღება დასრულდება მომდევნო სამუშაო დღის ბოლოს.

2. საპარლამენტო ჟურნალისტის აკრედიტაციის მისაღებად მედიასაშუალებამ შეიძლება წარადგინოს მხოლოდ ის ჟურნალისტი, რომელიც ამ მედიასაშუალებაში ანაზღაურებად საქმიანობას ახორციელებს.

მუხლი 4. საპარლამენტო ჟურნალისტის აკრედიტაციის მიღების თაობაზე განაცხადის შინაარსი (12.11.2025 N1/255/25)

1. საპარლამენტო ჟურნალისტის აკრედიტაციის მიღების თაობაზე განაცხადში, რომელსაც წარადგენს მედიასაშუალების წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე პირი, აღნიშნული უნდა იყოს შესაბამისი იურიდიული პირის საფირმო სახელწოდება, იურიდიული მისამართი, საიდენტიფიკაციო ნომერი, რომლითაც ის რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, არსებობის შემთხვევაში – ელექტრონული ფოსტის მისამართი და ვებგვერდის მისამართი. ამასთანავე, ეს განაცხადი უნდა შეიცავდეს საპარლამენტო ჟურნალისტის აკრედიტაციის მისაღებად წარდგენილი ჟურნალისტების სიას, რომელშიც მითითებულია თითოეული ჟურნალისტის სახელი და გვარი, პირადი ნომერი, მის მიერ დაკავებული თანამდებობა, მისი მობილური ტელეფონის ნომერი, აგრეთვე მედიასაშუალების წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე პირის დასტურს, რომ აღნიშნული ჟურნალისტები გაეცნენ ამ წესით გათვალისწინებულ აკრედიტებული ჟურნალისტის ქცევის წესებს.

2. საპარლამენტო ჟურნალისტის აკრედიტაციის მიღების თაობაზე განაცხადს უნდა ერთოდეს:

ა) ჟურნალისტის პირადობის/ბინადრობის მოწმობის ასლი;

ბ) ჟურნალისტის ფოტოსურათის (ზომა – 3X4) ელექტრონული ვარიანტი;

გ) ბეჭდვითი ორგანოს შემთხვევაში – მის მიერ საპარლამენტო ჟურნალისტის აკრედიტაციის მიღების თაობაზე განაცხადის წარდგენამდე ბოლო 2 თვის განმავლობაში დაბეჭდილ გამოცემათა ეგზემპლარები;

დ) მაუწყებლის შემთხვევაში – მასზე შესაბამისი ავტორიზაციის/ლიცენზიის გაცემის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

3. აკრედიტაციის მაძიებელი მედიასაშუალება პასუხისმგებელია ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად წარდგენილი დოკუმენტაციის/ინფორმაციის სისწორისთვის.

4. თუ წარდგენილი საპარლამენტო ჟურნალისტის აკრედიტაციის მიღების თაობაზე განაცხადი არ შეესაბამება ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების მოთხოვნებს, აკრედიტაციის მაძიებელს საქართველოს პარლამენტის აპარატის (შემდგომ – აპარატი) მითითებით ეძლევა 3 სამუშაო დღე ხარვეზის გამოსასწორებლად

მუხლი 5. საპარლამენტო ჟურნალისტის აკრედიტაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება

1. აპარატის უფროსი არაუგვიანეს სააკრედიტაციო წლის წინა წლის 25 დეკემბრისა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის თანხმობით იღებს გადაწყვეტილებას საპარლამენტო ჟურნალისტის აკრედიტაციის გაცემის შესახებ ან მის გაცემაზე უარის თქმის თაობაზე. საპარლამენტო ჟურნალისტის აკრედიტაცია გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აკრედიტაციის მაძიებელი აკმაყოფილებს აკრედიტაციის მისაღებად ამ წესით დადგენილ ყველა მოთხოვნას. (12.11.2025 N1/255/25)

2. საპარლამენტო ჟურნალისტის აკრედიტაციის გაცემაზე უარი შეიძლება ითქვას, თუ აკრედიტებულ მედიასაშუალებას ადრე ვადამდე გაუქმებული ჰქონდა აკრედიტაცია ამ წესის მე-11 მუხლის „გ“ ან „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად. ამასთანავე, თუ მედიასაშუალების მიერ წარდგენილი ჟურნალისტების სიაში მყოფი რომელიმე ჟურნალისტის მიმართ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიღებულია საქართველოს პარლამენტის სასახლეში შესვლის შეზღუდვის თაობაზე გადაწყვეტილება, ამ ჟურნალისტზე საპარლამენტო ჟურნალისტის აკრედიტაცია არ გაიცემა, მიუხედავად იმისა გასაჩივრებულია თუ არა აღნიშნული გადაწყვეტილება. აპარატი საპარლამენტო ჟურნალისტის აკრედიტაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ აკრედიტაციის მაძიებელს ატყობინებს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში. (12.12.2025 N1/309/25)

3. ამ მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილება ძალაში შედის ხელმოწერისთანვე. საპარლამენტო ჟურნალისტის აკრედიტაციის გაცემაზე უარი

გასაჩივრდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. (12.12.2025 N1/309/25)

მუხლი 6. აკრედიტებული საპარლამენტო ჟურნალისტების რაოდენობა (12.11.2025 N1/255/25)

1. დასაშვებია მედიასაშუალების სახეობის მიხედვით საპარლამენტო ჟურნალისტად შემდეგი რაოდენობის ჟურნალისტის აკრედიტება:

ა) ბეჭდვითი ორგანოს (გაზეთის, ჟურნალის) შემთხვევაში – არაუმეტეს 3 ჟურნალისტისა;

ბ) რადიომაუწყებლის შემთხვევაში – არაუმეტეს 2 ჟურნალისტისა;

გ) ონლაინგამოცემის შემთხვევაში – არაუმეტეს 4 ჟურნალისტისა;

დ) ტელემაუწყებლის შემთხვევაში:

დ.ა) საზოგადოებრივი ტელემაუწყებლისა – არაუმეტეს 15 გადამღები ჯგუფის დასაკომპლექტებლად საჭირო რაოდენობის ჟურნალისტისა;

დ.ბ) საერთო საეთერო ეროვნული ტელემაუწყებლისა – არაუმეტეს 15 გადამღები ჯგუფის დასაკომპლექტებლად საჭირო რაოდენობის ჟურნალისტისა;

დ.გ) სხვა ტელემაუწყებლისა – არაუმეტეს 3 გადამღები ჯგუფის დასაკომპლექტებლად საჭირო რაოდენობის ჟურნალისტისა.

2. მედიასაშუალება უფლებამოსილია სააკრედიტაციო წლის განმავლობაში შეცვალოს (განაახლოს) საპარლამენტო ჟურნალისტების სია. საპარლამენტო ჟურნალისტების განახლებული სიის თაობაზე განაცხადს უნდა ერთოდეს ყველა საპარლამენტო ჟურნალისტის სია, აგრეთვე ამ წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია ახალი საპარლამენტო ჟურნალისტების შესახებ. ამ განაცხადს აპარატი 5 სამუშაო დღის ვადაში განიხილავს.

მუხლი 7. სააკრედიტაციო მოწმობა

1. საპარლამენტო ჟურნალისტზე გაიცემა სააკრედიტაციო მოწმობა. სააკრედიტაციო მოწმობა მას პირადად ჰბარდება, რასაც ჟურნალისტი სპეციალურ ჟურნალში ხელის მოწერით ადასტურებს.

2. სააკრედიტაციო მოწმობის დაკარგვის შემთხვევაში საპარლამენტო ჟურნალისტი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს აპარატს ამის თაობაზე. აპარატი დაკარგული სააკრედიტაციო მოწმობის აღდგენის შესახებ განცხადებას მისი მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში განიხილავს და გასცემს ახალ სააკრედიტაციო მოწმობას.

3. საპარლამენტო ჟურნალისტი აკრედიტაციის მისაღებად მის წარმდგენ მედიასაშუალებაში საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში ვალდებულია დაუყოვნებლივ დააბრუნოს სააკრედიტაციო მოწმობა.

4. მედიასაშუალება ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს აპარატს საპარლამენტო ჟურნალისტის მიერ ამ მედიასაშუალებაში საქმიანობის შეწყვეტის (თანამდებობის დატოვების) თაობაზე.

მუხლი 8. სააკრედიტაციო მოწმობის ჩამორთმევა

1. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ადმინისტრაციული შენობებისა და სამთავრობო რეზიდენციების დაცვის სამმართველოს საქართველოს პარლამენტის სასახლის დაცვის განყოფილების თანამშრომელს (შემდგომ – დაცვის თანამშრომელი) უფლება აქვს, საპარლამენტო ჟურნალისტს ჩამოართვას სააკრედიტაციო მოწმობა, თუ:

ა) ის დაზიანებულია ან შეუძლებელია მასზე პირის სურათის დათვალიერება ან მისი სახელის, გვარის, აკრედიტაციის ვადის ან სხვა ინფორმაციის ამოკითხვა, რომელიც პირის ვინაობას ან მოწმობის ვარგისობას ადასტურებს;

ბ) აკრედიტაციის ვადა გავიდა; გ)

აკრედიტაცია გაუქმდა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში აპარატი დაუყოვნებლივ აცნობებს მედიასაშუალებას ჟურნალისტისთვის სააკრედიტაციო მოწმობის ჩამორთმევის თაობაზე.

მუხლი 9. ახალდაფუძნებულ მედიასაშუალებაზე საპარლამენტო ჟურნალისტის აკრედიტაციის გაცემის წესი

1. მედიასაშუალება, რომელმაც ფუნქციონირება სააკრედიტაციო წლის წინა წლის 15 დეკემბრის შემდეგ დაიწყო, უფლებამოსილია საპარლამენტო ჟურნალისტის აკრედიტაციის მიღების თაობაზე განაცხადით საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს მიმართოს ნებისმიერ დროს, მაგრამ არაუგვიანეს სააკრედიტაციო წლის 1 ნოემბრისა. (12.11.2025 N1/255/25)

2. მედიასაშუალება საპარლამენტო ჟურნალისტის აკრედიტაციის მიღების თაობაზე განაცხადს წარადგენს ამ წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტითა და მე-4 მუხლით დადგენილი წესების შესაბამისად. (12.11.2025 N1/255/25)

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში აპარატი საპარლამენტო ჟურნალისტის აკრედიტაციის მიღების თაობაზე განაცხადს მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში განიხილავს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. (12.11.2025 N1/255/25)

4. ამ მუხლით დადგენილი წესით საპარლამენტო ჟურნალისტის აკრედიტაცია გაიცემა სააკრედიტაციო წლის დარჩენილი ვადით.

მუხლი 10. სპეციალური აკრედიტაციის გაცემის წესი

1. იმ ჟურნალისტს, რომელსაც არ აქვს საპარლამენტო ჟურნალისტის აკრედიტაცია, აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის დეპარტამენტის გადაწყვეტილებით შეიძლება მიეცეს ერთჯერადი სპეციალური აკრედიტაცია საქართველოს პარლამენტის სასახლეში ჟურნალისტური საქმიანობის განსახორციელებლად.

2. სპეციალური აკრედიტაციის მიღების შესახებ განცხადებას მედიასაშუალება ან თავად ჟურნალისტი წარუდგენს აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის დეპარტამენტის უფროსს ელექტრონული ფოსტის მისამართზე: media@parliament.ge.

3. სპეციალური აკრედიტაციის მიღების შესახებ განცხადებაში აღნიშნული უნდა იყოს ჟურნალისტის სახელი და გვარი, პირადი ნომერი და საქართველოს პარლამენტის სასახლეში შესვლის სასურველი თარიღი.

4. აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის დეპარტამენტი სპეციალური აკრედიტაციის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს 1 სამუშაო დღისა.

მუხლი 10. ერთჯერადი სპეციალური აკრედიტაციის გაცემის წესი (12.11.2025 N1/255/25)
(ამოქმედდეს 2026 წლის 1 იანვრიდან.)

1. იმ ჟურნალისტს, რომელსაც არ აქვს საპარლამენტო ჟურნალისტის აკრედიტაცია, აპარატის უფროსის გადაწყვეტილებით შეიძლება მიეცეს ერთჯერადი სპეციალური აკრედიტაცია საქართველოს პარლამენტის სასახლეში ჟურნალისტური საქმიანობის განსახორციელებლად.

2. მედიასაშუალება ამ წესის №2 დანართით გათვალისწინებული ფორმის დაცვით შევსებული ერთჯერადი სპეციალური აკრედიტაციის მიღების თაობაზე განაცხადით მიმართავს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს.

3. ერთჯერადი სპეციალური აკრედიტაციის მიღების თაობაზე განაცხადში აღნიშნული უნდა იყოს შესაბამისი იურიდიული პირის საფირმო სახელწოდება, იურიდიული მისამართი, საიდენტიფიკაციო ნომერი, რომლითაც ის რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, არსებობის შემთხვევაში – ელექტრონული ფოსტის მისამართი და ვებგვერდის მისამართი, აგრეთვე შესაბამისი ჟურნალისტის სახელი და გვარი, პირადი ნომერი, მის მიერ დაკავებული თანამდებობა, მისი მობილური ტელეფონის ნომერი, საქართველოს პარლამენტის სასახლეში შესვლის კონკრეტული მიზანი და სასურველი თარიღი. ამასთანავე, ეს განაცხადი უნდა შეიცავდეს მედიასაშუალების წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე პირის

დასტურს, რომ აღნიშნული ჟურნალისტი გაეცნო ამ წესით გათვალისწინებულ აკრედიტებული ჟურნალისტის ქცევის წესებს.

4. აპარატის უფროსი ერთჯერადი სპეციალური აკრედიტაციის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ერთჯერადი სპეციალური აკრედიტაციის მიღების თაობაზე განაცხადის მიღებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა.

5. ერთჯერადი სპეციალური აკრედიტაციის მქონე ჟურნალისტი ვალდებულია დაიცვას ამ წესით გათვალისწინებული აკრედიტებული ჟურნალისტის ქცევის წესები და საქართველოს პარლამენტის სასახლეში შესვლის კონკრეტული მიზნის ამოწურვისთანავე დატოვოს პარლამენტის სასახლე.

მუხლი 11. აკრედიტებული მედიასაშუალების აკრედიტაციის ვადამდე გაუქმება

იმ მედიასაშუალების აკრედიტაცია, რომლის ჟურნალისტებსაც აქვთ საპარლამენტო ჟურნალისტის აკრედიტაცია, აპარატის უფროსის გადაწყვეტილებით ვადამდე გაუქმდება:

ა) აკრედიტებული მედიასაშუალების განცხადების საფუძველზე;

ბ) აკრედიტებული მედიასაშუალების საქმიანობის კანონით დადგენილი წესით შეჩერების ან შეწყვეტის შემთხვევაში;

გ) თუ დადგინდა, რომ აკრედიტებულმა მედიასაშუალებამ ამ წესის მე-4 მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტაცია/ინფორმაცია განზრახ არასწორად წარადგინა;

დ) თუ საქართველოს პარლამენტის მორიგი სესიის პერიოდში ზედიზედ 10 კვირის განმავლობაში პარლამენტის სასახლეში აკრედიტებული მედიასაშუალების არცერთი აკრედიტებული ჟურნალისტი არ იმყოფებოდა.

მუხლი 12. აკრედიტებული ჟურნალისტის აკრედიტაციის ვადამდე გაუქმება

1. აკრედიტებული ჟურნალისტის აკრედიტაცია აპარატის უფროსის გადაწყვეტილებით ვადამდე გაუქმდება, თუ:

ა) აკრედიტებული მედიასაშუალების აკრედიტაცია გაუქმდა;

ბ) ჟურნალისტის აკრედიტაციის გაუქმება აკრედიტებული მედიასაშუალების ხელმძღვანელმა მოითხოვა;

გ) ჟურნალისტს აკრედიტებულ მედიასაშუალებაში საქმიანობა შეწყვეტილი აქვს; დ) ჟურნალისტმა სააკრედიტაციო მოწმობა სხვა პირს გადასცა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ან „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობის დადგომისას აკრედიტებული მედიასაშუალება უფლებამოსილია მოითხოვოს ამ წესის მე-6 მუხლით განსაზღვრული კვოტების ფარგლებში სხვა საპარლამენტო ჟურნალისტის აკრედიტება. ამ მოთხოვნას განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს აპარატის უფროსი.

მუხლი 13. აკრედიტებული ჟურნალისტისთვის აკრედიტაციის შეჩერება

1. თუ საპარლამენტო ჟურნალისტმა დაარღვია ამ წესის მე-14 ან მე-15 მუხლით დადგენილი წესები, მას აპარატის უფროსის გადაწყვეტილებით შეიძლება შეუჩერდეს აკრედიტაცია 1 თვით. დარღვევის განმეორების შემთხვევაში აკრედიტებულ ჟურნალისტს აკრედიტაცია შეუჩერდება 6 თვით.

2. სპეციალური აკრედიტაციის მქონე ჟურნალისტის მიერ ამ წესის მე-14 ან მე-15 მუხლით დადგენილი წესების დარღვევის შემთხვევაში აპარატის უფროსის გადაწყვეტილებით შეიძლება შეიზღუდოს მასზე აკრედიტაციის გაცემა 1 თვით, ხოლო დარღვევის განმეორების შემთხვევაში – 6 თვით.

3. აკრედიტაციის შეჩერების ვადის დენას არ აჩერებს გაცემული აკრედიტაციის ვადის გასვლა. შეჩერებული აკრედიტაციის მქონე მედიასაშუალების ჟურნალისტს ეზღუდება ახალი აკრედიტაციის მიღება აკრედიტაციის შეჩერების საერთო ვადის გასვლამდე.

4. დაუშვებელია, ჟურნალისტი, რომელსაც ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ პერიოდში აკრედიტაცია შეჩერებული აქვს, სხვა ჟურნალისტით ჩანაცვლდეს.

მუხლი 14. აკრედიტებული ჟურნალისტის საქართველოს პარლამენტის სასახლეში ყოფნის პერიოდი

1. აკრედიტებულ ჟურნალისტს უფლება აქვს, საქართველოს პარლამენტის სასახლეში იმყოფებოდეს სამუშაო დღის 9:00 სთ-დან 0:00 სთ-მდე ან შესაბამისი ღონისძიების დასრულებამდე, თუ ის 0:00 სთ-ის შემდეგ გრძელდება.

2. აკრედიტებული ჟურნალისტი უქმე დღეს საქართველოს პარლამენტის სასახლეში დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იმართება საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით გათვალისწინებული ღონისძიება (პარლამენტის რიგგარეშე სესია/რიგგარეშე სხდომა, ბიუროს სხდომა, კომიტეტის სხდომა და სხვა), ან იმართება სხვა ღონისძიება ან იწერება ინტერვიუ, რომელიც აპარატთან შეთანხმებულია.

3. ცალკეულ შემთხვევებში, საქართველოს პარლამენტში გასამართი ღონისძიების სპეციფიკურობიდან ან უსაფრთხოების რეჟიმიდან გამომდინარე, აპარატის უფროსის გადაწყვეტილებით შეიძლება შეიზღუდოს აკრედიტებულ ჟურნალისტთა პარლამენტის სასახლეში დაშვება, გადაადგილება ან მათი ტექნიკის გარკვეულ ადგილებში განლაგება.

მუხლი 15. აკრედიტებული ჟურნალისტის უფლებები და ვალდებულებები

1. აკრედიტებულ ჟურნალისტს უფლება აქვს:

ა) სააკრედიტაციო მოწმობის საფუძველზე შევიდეს საქართველოს პარლამენტის სასახლეში;

ბ) დაესწროს საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით გათვალისწინებულ სხდომებსა და სხვა ღონისძიებებს (მათ შორის, ბრიფინგს, პრესკონფერენციას, შეხვედრას), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაბამისი სხდომა ან სხვა ღონისძიება დახურულია;

გ) ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ფარგლებში აწარმოოს ვიდეო- და ფოტოგადაღება. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით გათვალისწინებული სხდომის ვიდეო- და ფოტოგადაღება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სხდომის თავმჯდომარის თანხმობით, მის მიერ მედიასაშუალებათა წარმომადგენლებისთვის გამოყოფილი ადგილიდან.

2. აკრედიტებული ჟურნალისტი ვალდებულია:

ა) ხელი არ შეუშალოს საქართველოს პარლამენტში მიმდინარე ღონისძიების მსვლელობას;

ბ) საქართველოს პარლამენტის წევრის ან აპარატის თანამშრომლის წინასწარი ნებართვის გარეშე არ გადაიღოს მისი სამუშაო ოთახი;

გ) საქართველოს პარლამენტის წევრის, აპარატის თანამშრომლის ან პარლამენტში სტუმრად მყოფი პირის მიერ ინტერვიუს ჩაწერაზე უარის თქმის შემთხვევაში შეწყვიტოს ინტერვიუ;

დ) საქართველოს პარლამენტის წევრის, აპარატის თანამშრომლის ან პარლამენტში სტუმრად მყოფი პირის თანხმობის გარეშე არ გადაიღოს მისი დოკუმენტი, მისი ტელეფონის ან სხვა ელექტრონული მოწყობილობის ეკრანი ისე, რომ მასზე არსებული ინფორმაციის ან გამოსახულების აღქმა შესაძლებელი იყოს;

ე) არ დაუშვას მისი მხრიდან საქართველოს პარლამენტში მყოფი პირისადმი უხამსი, სექსისტური, დისკრიმინაციული მიმართვა ან მოქმედება;

ვ) დაემორჩილოს დაცვის თანამშრომლისა და აპარატის მანდატურის სამსახურის მანდატურის კანონიერ მითითებებს;

ზ) სააკრედიტაციო მოწმობა არ გადასცეს სხვა პირს;

თ) სააკრედიტაციო მოწმობა ატაროს გამოსაჩენ ადგილზე.

მუხლი 16. (ამოღებულია (12.11.2025 N1/255/25)

დანართი №1

(12.11.2025 N1/255/25)

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს

იურიდიული პირის საფირმო სახელწოდება: _____
იურიდიული მისამართი: _____
_____
საიდენტიფიკაციო ნომერი: _____
საკონტაქტო ტელეფონის ნომერი: _____
ელექტრონული ფოსტის მისამართი (არსებობის შემთხვევაში): _____
ვებგვერდის მისამართი (არსებობის შემთხვევაში): _____

მედიასაშუალების წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე პირი:

_____

(სახელი და გვარი, თანამდებობის დასახელება)

განაცხადი
საპარლამენტო ჟურნალისტის აკრედიტაციის მიღების თაობაზე

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2023 წლის 6 თებერვლის №1/31/23 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს პარლამენტში მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციის წესის“ შესაბამისად, მოგმართავთ თხოვნით, გასცეთ საპარლამენტო ჟურნალისტის წლიური აკრედიტაცია შემდეგ ჟურნალისტებზე (მედიასაშუალების წარმომადგენლებზე):

1. _____

   (ჟურნალისტის სახელი და გვარი, პირადი ნომერი, დაკავებული თანამდებობა, მობილური ტელეფონის ნომერი)

2. _____

   (ჟურნალისტის სახელი და გვარი, პირადი ნომერი, დაკავებული თანამდებობა, მობილური ტელეფონის ნომერი)

3. _____

   (ჟურნალისტის სახელი და გვარი, პირადი ნომერი, დაკავებული თანამდებობა, მობილური ტელეფონის ნომერი)

   _____

   _____

   _____

   _____

   _____

   _____

   _____

ვადასტურებ, რომ აღნიშნული ჟურნალისტები გაეცნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2023 წლის 6 თებერვლის №1/31/23 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს

პარლამენტში მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციის წესით“ გათვალისწინებულ აკრედიტებული ჟურნალისტის ქცევის წესებს.

თარიღი: __/__/__

_____

(განმცხადებლის ხელმოწერა)

დანართი №2

(12.11.2025 N1/255/25, **ამოქმედდეს 2026 წლის 1 იანვრიდან.**)

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს

იურიდიული პირის საფირმო სახელწოდება: _____

იურიდიული მისამართი: _____

_____

საიდენტიფიკაციო ნომერი: _____

საკონტაქტო ტელეფონის ნომერი: _____

ელექტრონული ფოსტის მისამართი (არსებობის შემთხვევაში): _____

ვებგვერდის მისამართი (არსებობის შემთხვევაში): _____

მედიასაშუალების წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე პირი:

_____

(სახელი და გვარი, თანამდებობის დასახელება)

განაცხადი

ერთჯერადი სპეციალური აკრედიტაციის მიღების თაობაზე

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2023 წლის 6 თებერვლის №1/31/23 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს პარლამენტში მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციის წესის“ შესაბამისად, მოგმართავთ თხოვნით, გასცეთ ერთჯერადი სპეციალური აკრედიტაცია შემდეგ ჟურნალისტზე (მედიასაშუალების წარმომადგენელზე):

1. _____

(ჟურნალისტის სახელი და გვარი, პირადი ნომერი, დაკავებული თანამდებობა, მობილური ტელეფონის ნომერი, საქართველოს პარლამენტის სასახლეში შესვლის კონკრეტული მიზანი და სასურველი თარიღი)

2. _____

(ჟურნალისტის სახელი და გვარი, პირადი ნომერი, დაკავებული თანამდებობა, მობილური ტელეფონის ნომერი, საქართველოს პარლამენტის სასახლეში შესვლის კონკრეტული მიზანი და სასურველი თარიღი)

3. _____

(ჟურნალისტის სახელი და გვარი, პირადი ნომერი, დაკავებული თანამდებობა, მობილური ტელეფონის ნომერი, საქართველოს პარლამენტის სასახლეში შესვლის კონკრეტული მიზანი და სასურველი თარიღი)

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

ვადასტურებ, რომ აღნიშნული ჟურნალისტი გაეცნო საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2023 წლის 6 თებერვლის №1/31/23 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს პარლამენტში მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციის წესით“ გათვალისწინებულ აკრედიტებული ჟურნალისტის ქცევის წესებს.

თარიღი: __/__/__

_____

(განმცხადებლის ხელმოწერა)